ეროვნული ბიბლიოთეკა

**22**
სექტემბერი
SEPTEMBER



# ალექსი მაჭავარიანისა და ყარა ყარაევის
## სიმფონიური მუსიკის კონცერტი

## CONCERT OF SYMPHONY MUSIC OF
# ALEXI MATCHAVARIANI AND GARA GARAYEV

თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სიმფონიური ორკესტრი
დირიჟორი **ვახტანგ მაჭავარიანი**

THE SYMPHONY ORCHESRA OF TBILISI STATE OPERA AND BALLET THEATRE
CONDUCTOR **VAKHTANG MATCHAVARIANI**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოპერისა და ბალეტის
Tbilisi State
Opera&Ballet
Theatre

## პროგრამა / PROGRAM

| | |
|---|---|
| ალექსი მაჭავარიანი | ქართული საზეიმო უვერტიურა |
| ყარა ყარაევი | სიუიტა №2 ბალეტიდან "ქუხილის ბილიკით" |
| ალექსი მაჭავარიანი | სიუიტა №2 ბალეტიდან "ოტელო" |
| ALEXI MATCHAVARIANI | GEORGIAN FESTIVE OVERTURE |
| GARA GARAYEV | SUITE #2 FROM BALLET "PATH OF THUNDER" |
| ALEXI MATCHAVARIANI | SUITE #2 FROM BALLET "OTHELLO" |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე, 18 წლისა ვიქნებოდი, როდესაც შევეკითხე ალექსი მაჭავარიანს: მამა, ცოცხალი კომპოზიტორებიდან, საბჭოთა კავშირის მასშტაბით ვინ მიგაჩნია სამ უდიდეს კომპოზიტორად? ის, რომ სამი ვთქვი, ალბათ, ჩემს მაშინდელ ასაკთან იყო დაკავშირებული. მამამ მიპასუხა: დიმიტრი შოსტაკოვიჩი, არამ ხაჩატურიანი და ყარა ყარაევი. მაშინ მე უკვე ვიცნობდი როგორც შოსტაკოვიჩის, ასევე ხაჩატურიანის შემოქმედებას, მეტიც, პირადად ვიცნობდი მათ, როგორც მამის მეგობრებს. როდესაც მოსკოვში ჩავდიოდით, პირველთანაც და მეორესთანაც არაერთხელ ვყოფილვართ მიწვეული ოჯახში ვახშამზე, ისევე, როგორც თბილისში სტუმრობისას, ჩვენი ოჯახი მასპინძლობდა მათ. ეს ტრადიცია გაგრძელდა მაქსიმ შოსტაკოვიჩისა და ჩემი მეგობრობითაც.

იმხანად დავინტერესდი ყარა ყარაევის მუსიკით და მივხვდი, რომ მამის შეფასება სწორი იყო. მათი მეგობრობაც, კოლეგიალობაც და ურთიერთპატივისცემაც სამაგალითო იყო. მჯერა, რომ ყარაევების საოჯახო არქივში ინახება მამის წერილები, ხოლო წინამდებარე ბუკლეტში ვაქვეყნებთ ყარა ყარაევის წერილს ალექსი მაჭავარიანისადმი, რომელიც ამ დიდი მეგობრობის დამადასტურებული საბუთია.

ბედნიერად ვთვლი თავს, რომ მომეცა საშუალება შემსრულებლის, ინტერპრეტატორის როლში შევეხო ყარა ყარაევის დიდ მუსიკას. ვხარობ იმითაც, რომ მუსიკალური საზოგადოება ერთ კონცერტში მოისმენს ამ ორი დიდი მეგობრისა და შემოქმედებითი გიგანტის ქმნილებებს.

ვახტანგ მაჭავარიანი

05.09.2100 თბილისი

I was about 18 years old when I asked Alexi Matchavariani, 'Daddy, from all the composers alive in the Soviet Union, who do you esteem as three greatest composers?' The fact that I chose the number three, supposedly, was connected to my age. My father replied, 'Dmitry Shostakovich, Aram Khachaturian and Gara Garayev.' Then I already knew both the art of Shostakovich as well as that of Khachaturian. The more so, I knew them personally as my father's friends. When we used to travel to Moscow, we have been invited to the families of both of them to diners, as well as during their stay in Tbilisi, they would be hosted to our family. This tradition has been continued also by my friendship with Maxim Shostakovich.

It was then that I got interested in Gara Garayev's music and I was convinced that my father's evaluation was correct. Their friendship, collegial relationships and mutual respect were also a model worth copying. I believe that in Garayevs' family archive there are kept my father's letters, and in the present booklet we are publishing Gara Garayev's letter to Alexi Matchavariani as one more proof of this great friendship.

I deem myself happy that I now have the opportunity to have a touch with Gara Garayev's great music in the role of a performer, interpreter. I also rejoice at the fact that the musical society will listen to the art of these two friends and creative giants, in one concert, together.

Vakhtang Matchavariani

05.09.2010 Tbilisi

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ალექსი მაჭავარიანი

(1913-1995)

გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორი ალექსი მაჭავარიანი იყო საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, სსრკ სახელმწიფო პრემიისა და შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი, მრავალგზის ორდენოსანი და სხვადასხვა საერთაშორისო ჯილდოს მფლობელი (მილანის „ლა სკალას"-თან არსებული „ბრაიდენზე"-ს გალერეის „ოქროს მედალი" ბალეტ „ოტელოს" მუსიკისთვის და პიკასოს პრემია (აშშ) ბალეტ „ვეფხისტყაოსნისთვის").

ალექსი მაჭავარიანი დაიბადა გორში 1913 წელს. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია კომპოზიციის განხრით. დიმიტრი შოსტაკოვიჩის რეკომენდაციით მიენიჭა პროფესორის წოდება. 1962-1968 წლებში იყო საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე.

ალექსი მაჭავარიანს შედევრთა რანგის არაერთი მუსიკალური ქმნილება ეკუთვნის, რომლებმაც კომპოზიტორს საყოველთაო აღიარება მოუტანა (ბალეტი "ოტელო", სიმფონიები, სავიოლინო კონცერტი, რომანსები, "დოლური" სოლო ვიოლინოსთვის, საფორტეპიანო პიესა "ხორუმი" და ა.შ.) 1985 წელს კომპოზიტორის კიდევ ერთი შემოქმედებითი წარმატება უკავშირდება ბალეტ „ვეფხისტყაოსანს", რომელიც დაიდგა პეტერბურგის მარიას თეატრში და გასტროლებით გააცნო მსოფლიოს მრავალი ქვეყნის აუდიტორიას.

ალექსი მაჭავარიანის შემოქმედებითი მემკვიდრეობა მრავალჟანრული და ვრცელია, მოიცავს მუსიკალურ-თეატრალურ (ოპერები, ბალეტები, მუსიკალური კომედია), სიმფონიურ და ვოკალურ-სიმფონიურ (7 სიმფონია, ორატორია, ინსტრუმენტული კონცერტები, სიმფონიური პოემები, საორკესტრო პიესები), საგუნდო, კამერულ-ინსტრუმენტულ, კამერულ-ვოკალურ, სათეატრო და კინომუსიკის ჟანრებს.

ალექსი მაჭავარიანის ქმნილებები წარმატებით ჟღერდა გერმანიის, საფრანგეთის, აშშ-ს, კანადის, ნიდერლანდების, დიდი ბრიტანეთის, იტალიის, ესპანეთის, ფინეთის, ჩეხეთის, უნგრეთის, იუგოსლავიის, სლოვაკეთის, პოლონეთის, რუმინეთის, ავსტრიის, ბრაზილიის, არგენტინის, ნორვეგიის, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, რუსეთის, უკრაინის, აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს ცნობილ საკონცერტო დარბაზებში.

მისი ნაწარმოებები გრამფირფიტის სახით გამოცემულია აშშ-ში (სტუდია "კოლუმბიას" მიერ გამოცემულია სავიოლინო კონცერტი), რუსეთსა და გერმანიაში.

სამწუხაროდ, ალექსი მაჭავარიანის შემოქმედების მნიშვნელოვან ნაწილს დღემდე არ იცნობს ჩვენი საზოგადოება. სცენურ ხორცშესხმას ელის კომპოზიტორის რამდენიმე მუსიკალურ-თეატრალური თხზულება: ოპერა "მედეა" (ვახტანგ მაჭავარიანის ლიბრეტოს მიხედვით), ბალეტი "ფიროსმანი" ("ძველი თბილისის სცენები", ავტორისავე ლიბრეტოს მიხედვით), ოპერა "ჰამლეტი" და ბალეტი "ჭირვეულის მორჯულება". დღემდე შეუსრულებელია მისი ორი სიმებიანი კვარტეტი (№5 და №6) და საფორტეპიანო სონატა №3. ასე რომ, მუსიკისმოყვარულთ წინ კიდევ ელით ალექსი მაჭავარიანის ნაწარმოებების მრავალი პრემიერა, მით უფრო, რომ 2013 წელს კომპოზიტორის დაბადებიდან 100 წელი სრულდება.

"ჭეშმარიტი ხელოვანი მუდმივად "გზაზეა"... შემოქმედება არის შრომაც, სიხარულიც და შემოქმედის შეუდარებელი ბედნიერებაც. ეს ბედნიერება მუდამ სდევს შესანიშნავ კომპოზიტორს ალექსი მაჭავარიანს" - წერდა ყარა ყარაევი.



## ALEXI MATCHAVARIANI

(1913-1995)

The outstanding Georgian composer Alexi Matchavariani was merited as Public Artist of the USSR, laureate of the USSR State Prize, and Shota Rustaveli State Prize, the title of Professor, and has received many various medals and international awards (amongst them, "Gold Medal" of the Braindense Gallery at La Scala, Milan (Gallerie d'Arte vicino Nazionale Braidense), for the music of ballet "Othello," and Picasso Prize (USA), for the ballet 'Vepkhistkaosani' ('The Knight in the Panther's Skin').

Alexi Matchavariani was born in Gori in 1913. He graduated from Tbilisi State Conservatoire with the specialty of composition. Upon the recommendation of Dmitry Shostakovich, he was awarded the title of Professor. In 1962-1968 he was the chairman of the Composers' Union of Georgia.

Not a few musical creations, pertaining to the range of chef-d'oeuvres, belong to Alexi Matchavariani, which have brought international fame to the composer (for instance, ballet "Othello," symphonies, violin concerto, romances, "Doluri" (Drum piece) solo for violin, piano play "Khorumi," etc.). In 1985 the composer celebrated yet another creative victory with his ballet "Vepkhistkaosani' ('The Knight in the Panther's Skin'), which was staged in Leningrad's Mari Theatre and then introduced to the audiences of many countries of the world by means of tours.

Alexi Matchavariani's creative heritage is waste and rich in genres, and includes musical and theatrical (operas, ballets, musical comedy), symphony and vocal-symphony (7 symphonies, oratorio, instrumental concertos, symphony poems, orchestral pieces), group, chamber-instrumental, chamber-vocal, theatrical and cinematographic music genres.

Alexi Matchavariani's works sounded in famous concert halls of Germany, France, the USA, Canada, the Netherlands, the Great Britain, Italy, Finland, Czechia, Hungary, Yugoslavia, Slovakia, Poland, Rumania, Austria, Norway, Lithuania, Latvia, Estonia, Russia, Ukraine, Azerbaijan, Armenia and Georgia and brought much fame and success.

His works are published in the USA in the form of gram-records (Studio Columbia published his violin concerto) as well as in Russia and Germany.

Unfortunately, the major part of Alexi Matchavariani's art remains still unknown for our nation. Several musical and theatrical works of the composer still await their scenic reincarnation, amongst them: opera "Medea" (according to Vakhtang Matchavariani's synopsis), ballet "Pirosmani" ("Scenes of Old Tbilisi," according to the synopsis written by the author himself), opera "Hamlet" and ballet "Taming of the Shrewd." His two string quartets (#5 and #6) are still not performed until to-day as well as his piano sonata #3. So the admirers of music will still be looking forward for many premieres of Alexi Matchavariani's works.

"The true artist is always halfway on the 'road...' His art and creation make all of these: work, joy and incomparable happiness of the creator. This happiness stays always with the brilliant composer Alexi Matchavariani," wrote Gara Garayev.

ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲛᲐᲭᲐᲕᲐᲠᲘᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲡ ᲔᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲝᲓᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲞᲠᲔᲡᲐ, ᲛᲐᲡ ᲐᲦᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚ ᲢᲝᲜᲔᲑᲨᲘ ᲐᲤᲐᲡᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲑᲘ. ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲗ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲜᲐᲗᲥᲕᲐᲛᲡ ᲑᲐᲚᲔᲢ "ᲝᲢᲔᲚᲝᲡ" ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსი მაჭავარიანის მუსიკით აღტაცებას გამოხატავს დიმიტრი შოსტაკოვიჩი, აი რას ამბობს გენიალური მაესტრო ბალეტ „ოტელოს" მოსმენის შემდეგ: „ბრწყინვალე მუსიკაა, ბრწინვალე წარმოდგენა. ეს ვახტანგ ჭაბუკიანის, სოლიკო ვირსალაძის და განსაკუთრებით ალექსი მაჭავარიანის დიდი წარმატებაა. ისევ მუსიკაზე მინდა ვთქვა, - ეს ბრწყინვალედ გაორკესტრებული მუსიკა ნიჭიერების გამობრწყინებაა"

**დიმიტრი შოსტაკოვიჩი, 1958 წ.**

„ალექსი მაჭავარიანის პარტიტურას („ოტელო") აქვს გამაოგნებელი დრამატიზმის პულსი. ეს არის დაელექტრიზებული შექსპირი"

**„ნიუ იორკ ტაიმსი", 1964 წ.**

„მაჭავარიანის „ოტელოს" მუსიკა არის კაცობრიობის გრძნობების, ვნებათაღელვის კალეიდოსკოპი. ის გამოხატავს ექსპრესიას, დინამიკას, ნათელი და აღსავსეა პოეზიით, გამოირჩევა ფერების ბრწყინვალებით"

**„ზიუდდოიჩე ცაიტუნგ", 1998 წ.**

„მილანის „ლა სკალას"-თან არსებული კულტურის საერთაშორისო ცენტრი „ბრაიდენზეს გალერეა" ანიჭებს ალექსი მაჭავარიანს ოქროს მედალს ბალეტ „ოტელოს" მუსიკისათვის. გალერეა აღნიშნავს: „ეს არის შექსპირის ინტერპრეტაციის ერთ-ერთი უბრწყინვალესი ნიმუში, მუსიკის და ცეკვის ჯადოსნური საშუალებებით"

**„სოვეტსკაია მუზიკა" 1975, №3.**

„ვერავითარი მაღალი შეფასება, ვერავითარი ეპითეტი, ვერ გამოხატავს იმ კოლოსალურ ესთეტიკურ ნეტარებას, რომელიც მაყურებელმა და მსმენელმა განიცადა ბალეტ „ოტელოსგან". ვადიდოთ ქართველები ასეთი კაშკაშა ნაწარმოების შექმნისთვის, რომელიც სამუდამოდ დარჩება მეხსიერებაში"

**მაია პლისეცკაია, სსრკ სახალხო არტისტი, „კომუნისტი" 1958 წ.**

„ოტელო" არაჩვეულებრივი ბალეტია, საინტერესო, მამაცი სულით, მან მთლიანად დაიპყრო გონება. მაჭავარიანის მუსიკა გამომსახველია, მრავალგვარი ხასიათებით აღსავსე, ცეკვისთვის მოსახერხებელი. ეჭვი არ მეპარება „ოტელოს" ხანგრძლივ და ბედნიერ სცენურ ცხოვრებაში, მან ჩვენ ესოდენ აგვაღელვა"

**გალინა ულანოვა, სსრკ სახალხო არტისტი, „პრავდა" 1958 წ.**

„ოტელომ" გამოიწვია არნახული ინტერესი ლენინგრადში. წარმოდგენაზე მოვიდა მთელი ქალაქი. ატმოსფეროთი და დონით ეს ჭეშმარიტად „შალიაპინისეული" წარმოდგენა იყო. როგორც ჩვენ დღეს გვშურს მათი, ვინც ისმენდა უკვდავ შალიაპინს, ასევე შეშურდებათ ჩვენი, ვინც გავხდით „ოტელოს" მომსწრე"

**ტატიანა ვეჩესლოვა, სსრკ სახალხო არტისტი „ზარია ვოსტოკა" 1960 წ.**

"მზად ვარ ბალეტი "ოტელო" მივაკუთვნო მუსიკალურ-თეატრალური ხელოვნების მწვერვალს"

**დიმიტრი კაბალევსკი, სსრკ სახალხო არტისტი, ჟურნალი "მუზიკალნაია ჟიზნ", 1958 წ.**

ALEXI MATCHAVARIANI'S ART HAD MUCH RESONANCE THROUGHOUT THE GLOBAL PRESS. HE WAS ESTEEMED IN SUPERLATIVE TONES BY FAMOUS ARTISTS. HERE WE WOULD LIKE TO SUGGEST SEVERAL IMPORTANT QUOTATIONS AND OPINIONS ABOUT HIM.

*Dmitry Shostakovich expresses his ravishment with Alexi Matchavariani's music; that's what the genial maestro said after he had listened to the ballet "Othello". "It's a brilliant music, a brilliant presentation. It is a great success of Vakhtang Tchabukiani, SolikoVirsaladze and, especially, of Alexi Matchavariani. I want to say again about the music: this piece of music, laid beautifully for the orchestra, is a shining beam of talent."*

**Dmitry Shostakovich. 1958**

*"Alexi Matchavariani's score ("Othello") possesses the astounding pulse of dramatism. This is Shakespeare electrified."*

**New York Times magazine, 1964**

*"The music of Matchavariani's Othello is a kaleidoscope of feelings and passions of the mankind. It conveys expression and dynamics, it is bright and full of poetry, and at the same time, it stands out by shining colors."*

**Süddeutsche Zeitung, 1998**

*"Braidense Gallery", the International Centre for Culture at La Scala, Milan (Gallerie d'Arte vicino Nazionale Braidense) grants to Alexi Matchavariani a gold medal for the music of the ballet "Othello." The Gallery remarks: "This is one of the most brilliant examples of interpretation of Shakespeare, through the magic means of music and dance."*

**Journal "Sovetskaya Muzika," 1975, #3.**

*No high assessment, no epithets can express that colossal esthetic beatitude, which have expressed the audience and the spectators from the ballet "Othello." We can boldly glorify the Georgians who have created such a bright piece of art which shall always stay in our memories."*

**Maya Plisetskaya, Public Artist of the USSR, Newspaper "Communist," 1958**

*"Othello" is an unordinary ballet, interesting, daring, and it inspired the minds. Matchavariani's music is expressive, full of variable characters, and well fit for dance. I have no doubts in long and happy scenic life of "Othello," as it excited us so much."*

**Galya Ulanova, Public Artist of the USSR, Newspaper "Pravda," 1958**

*"Othello" has caused unprecedented interest in Leningrad. The whole city came to the spectacle. With its atmosphere and level, this was the truly Chaliapinian presentation. As we envy today to them, who listened to immortal Chaliapin, so will be envied we, who have witnessed "Othello."*

**Tatyana Vecheslova, Public Artist of the USSR, Newspaper "ZaryaVostoka," 1960**

*"I am ready to deem the ballet "Othello" as a summit of musical and theatrical art."*

**Dmitry Kabalevski, Public Artist of the USSR, Journal "Muzikalnaya Zhizn," 1958**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოტელო

შექმნის ისტორია

უილიამ შექსპირის ტრაგედიის მიხედვით, ვახტანგ ჭაბუკიანის ლიბრეტოზე შექმნილი ოთხმოქმედებიანი ბალეტის „ოტელოს" პრემიერა შედგა 1957 წლის დეკემბერში თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწოფო თეატრში (დირიჟორი - ოდისეი დიმიტრიადი, ქორეოგრაფი და ოტელოს როლის ფენომენალური შემსრულებელი - ვახტანგ ჭაბუკიანი, მხატვარი - სიმონ (სოლიკო) ვირსალაძე). ბალეტმა მალე მოიპოვა საერთაშორისო აღიარება. თბილისის დასის მიერ „ოტელო" წარმოდგენილი იყო საერთაშორისო ფესტივალებზე უნგრეთსა და საფრანგეთში (1966), იდგმებოდა იაპონიაში, ფინეთში, რუმინეთში, აგრეთვე ბრატისლავაში, პრალაში, მონტე კარლოში, რიო დე ჟანეიროში, ლოს ანჯელესში, სანკტ-პეტერბურგში, ოდესაში, კუიბიშევში, მოსკოვში და სხვა. მილანის ლა სკალას თეატრთან არსებულმა ხელოვნებათა გალერეამ "ბრანდეზემ" ფილმ-ბალეტ „ოტელოს" მუსიკისთვის ალექსი მაჭავარიანი დააჯილდოვა ოქროს მედლით (1974).

# OTHELLO

History of creation

The ballet in four acts, "Othello," was created according with the famous eponymous tragedy of Shakespeare, synopsis has been written by Vakhtang Chabukiani. It premiered in December 1957 in Tbilisi Z. Paliashvili State Theatre of Opera and Ballet (conductor being Odissey Dimitriadi, and choreographer, as well as phenomenal performer of Othello part, has been Vakhtang Chabukiani, and the painter/decorator was Simon (Soliko) Virsaladze). The ballet soon won the international recognition. Tbilisi group has shown Othello in international festivals in Hungary and France (1966), and it was also staged in Japan, Finland, Rumania, also in the cities: Bratislava, Prague, Monte Carlo, Rio de Janeiro, Los Angeles, St. Petersburg, Odessa, Kuibishev, Moscow, etc. The art gallery Braindense at La Scala, Milan, has granted the gold medal to Alexi Matchavariani for the music of the movie and ballet "Othello" (1974).

*ძვირფასო მეგობარო,*

*ნება მიბოძე ძმურად მოგეხვიო და მოგილოცო.*

*შენ შეაბიჯე ადამიანური ცხოვრების მშვენიერ ხანაში – ნიჭიერების განვითარების, სიმწიფისა და სიბრძნის ხანაში. შენი ნაწარმოებები საბჭოთა მუსიკის მშვენებაა – მათ იცნობს მთელი მსოფლიო. შენ შეგქმნა ბრძენმა ქართველმა ერმა და შენც მუდამ უმღერ და ალამაღლებ სამშობლოს, გვახარებ ჩვენ, – შენს ძმებს, რომლებიც ვამაყობთ შენით, შენი წარმატებებით, შენი ბრწყინვალე ნიჭიერებით.*

*ჩემო ძვირფასო, იყავი ბედნიერი და მუდამ ახალგაზრდა, შენი მშვენიერი ოჯახის სასიხარულოდ. იშრომე და შექმენი შენი ხალხისთვის.*

*ჩემი ოჯახი ხარობს შენს ოჯახთან ერთად.*
*შენი ყარა ყარაევი.*

*1963 წ., ბაქო*
*(წერილი გამოგზავნილია ალექსი მაჭავარიანის 50 წლის იუბილეზე)*

ეროვნული ბიბლიოთეკა



ოდისეი დიმიტრიადი, ვახტანგ ჭაბუკიანი, ალექსი მაჭავარიანი, ვერა წიგნაძე, სოლომონ ვირსალაძე, რევაზ წულუკიძე, მარგარიტა გრიშკევიჩი, ბექარ მონავარდისაშვილი, ზურაბ კიკალეიშვილი "ოტელოს" შემდეგ, 1957 წელი.

Odissey Dimitriadi, Vakhtang Chabukiani, Alexsi Matchavariani, Vera Tsignadze, Solomon Virsaladze, Revaz Tsulukidze, Margarita Grishkevich, Bekar Monavardisashvili, Zurab Kikaleishvili after a Othello performance. 1957

My dear friend,

*Let me give you a brotherly hug and congratulate you.*

*You have stepped into the most beautiful stage of the human life: the stage of developed talent, maturity and wisdom. Your pieces constitute the beauty of the Soviet music, and the whole world knows them. You were created by the wise Georgian nation and you, too, always sing and praise the homeland, and rejoice us, your brothers, who are proud of you, of your success, and of your brilliant talent.*

*My dear, be happy and stay forever young to make your beautiful family joyful. Work and create for your people.*
*My family rejoices together with yours.*

*Yours,*
*Gara Garayev.*

*Baku, 1963.*
*(The letter was sent to Alexi Matchavariani's 50th anniversary)*

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ყარა ყარაევი
(1918-1982)

გამოჩენილი აზერბაიჯანელი კომპოზიტორი ყარა ყარაევი იყო საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, აზერბაიჯანის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, მრავალი ჯილდოსა და პრემიის მფლობელი.

ბაქოს კონსერვატორიაში დაეუფლა კომპოზიციას ლეოპოლდ რუდოლფის, ხოლო ხალხური მუსიკის საფუძვლებს უზეირ ჰაჯიბეკოვის ხელმძღვანელობით. 1937 წელს კომპოზიტორი მონაწილეობდა ფოლკლორულ ექსპედიციაში, რომლის დროსაც ჩაიწერა აშუღების სიმღერები და მუღამები. ერთი წლის შემდეგ ჩააბარა მოსკოვის კონსერვატორიაში, სადაც საკუთარ პროფესიულ ჩვევებს და ცოდნას სრულყოფდა ანატოლი ალექსანდროვის (კომპოზიცია) და სერგეი ვასილენკოს (ინსტრუმენტობა) ხელმძღვანელობით. 1942-1946 წლებში მას წილად ხვდა ბედნიერება, ყოფილიყო თვით დიმიტრი შოსტაკოვიჩის სტუდენტი. ყარაევის სადიპლომო ნაშრომში (მეორე სიმფონია) მკაფიოდ იყო გამოკვეთილი კომპოზიტორის მხატვრული ინდივიდუალობა.

ყარაევი შემოქმედებით მუშაობას მუდამ უთავსებდა საზოგადოებრივ საქმიანობასაც. იგი აქტიურად იყო ჩართული აზერბაიჯანის მუსიკალურ, კულტურულ ცხოვრებაში: სხვადასხვა წლებში იყო ბაქოს ფილარმონიის სიმფონიური ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი, სსრკ კომპოზიტორთა კავშირის აზერბაიჯანის განყოფილების თავმჯდომარე, სსრკ კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრი. მის კალამს ეკუთვნის მრავალი კრიტიკული წერილი. ყარა ყარაევი წლების განმავლობაში ასწავლიდა ბაქოს კონსერვატორიაში. 1949-1952 წლებში იყო კონსერვატორიის რექტორი, 1959 წლიდან კი პროფესორი. ყარა ყარაევის მოსწავლეებს შორის იყვნენ რაუფ გაჯიევი, არიფ მელიქოვი, ვასიფ ადიგიოზალოვი, ტოფიკ ბაკიხანოვი, ფრანგიზ ალიზადე, არიფ მირზოევი, მისი შვილი ფარაჯი და სხვანი.

ყარა ყარაევის ფართო და მრავალმხრივი შემოქმედებითი მემკვიდრეობა მოიცავს მუსიკალური ხელოვნების პრაქტიკულად ყველა ჟანრს: ოპერებს, ბალეტებს, სიმფონიურ, ვოკალურ-სიმფონიურ ნაწარმოებებს, კამერულ მუსიკას.

ყარა ყარაევის სტილი გამოირჩევა ემოციურობით, მასში შერწყმულია დრამატიზმი და ნატიფი ლირიზმი. 1950-იანი წლების დასაწყისში მის საკომპოზიტორო მოღვაწეობაზე უდიდესი გავლენა მოახდინა დიდი აზერბაიჯანელი პოეტის – ნიზამი განჯელის პოეზიამ. ნიზამის პოეტური სახიერება აღმოჩნდა შთაგონების წყარო კომპოზიტორის შემდეგი ნაწარმოებებისთვის: სიმფონიური პოემა „ლეილი და მეჯნუნი“, სიმფონიური სიუიტა „შვიდი მზეთუნახავი“ და კომპოზიტორის შემოქმედების მწვერვალი - ამავე სახელწოდების ბალეტი.

ყარაევის ექსპრესიული, რომანტიკულ-ემოციური სტილი მჭიდროდაა დაკავშირებული აზერბაიჯანული ხალხური მუსიკის პრინციპებთან. ფოლკლორის გავლენა შესამჩნევია კომპოზიტორის შემოქმედების ყველაზე გვიანდელ პერიოდშიც კი, როდესაც რაციონალური ტექნიკის გამოყენების სურვილმა მიიყვანა ექსპერიმენტებთან დოდეკაფონიური მუსიკის სფეროში (მესამე სიმფონია, სავიოლინო კონცერტი).

ყარა ყარაევის მუსიკა ჟღერდა და ჟღერს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. კომპოზიტორის მხატვრულ ესთეტიკურმა პრინციპებმა გააფართოვა აზერბაიჯანული მუსიკის გამომსახველობითი საზღვრები და უდიდესი როლი შეასრულა თანამედროვე აზერბაიჯანული საკომპოზიტორო სკოლის ფორმირებაში.

## GARA GARAYEV

(1918-1982)

The famous Azeri composer Gara Garayev was the Public Artist of the Soviet Union, Academician of the National Academy of Sciences of Azerbaijan, and winner of many prizes and awards.

He mastered the art of composition in Baku Conservatoire under the guidance of Leopold Rudolph, and principles of folk music, under the guidance of Uzeir Hajibekov. In 1937 the composer took part in the folklore expedition, during which ashugh's songs and mughamswere written. After one year he was enrolled into the Moscow Conservatoire, where he perfected his professional skills and abilities under the guidance of Anatoly Alexandrov (composition) and Sergei Vasilenko (instrumentality). In 1942-1946 he had been fortunate to be a student of Dmitry Shostakovich himself. Garayev's diploma work (his Second Symphony) bears the features of the clearly shaped artistic individuality of the composer.

Garayev always used to agree his creative work with social activities. He took an active part in the musical and cultural life of Azerbaijan. In various years he was the artistic leader of the symphony orchestra of Baku Philharmonia, chairman of the Azerbaijani Department of the Union of Composers of the USSR, and member of the Union of Cinematographers of the USSR. He has written many critical letters. Gara Garayev taught in Baku Conservatoire for years. In 1949-1952 he was the rector of the above-mentioned Conservatoire, since 1959 he worked there as a professor. Amongst the students of Gara Garayev were Rauf Gajiev, Arif Melikov, Vasif Adigozalov, Tofik Bakikhanov, Frangiz Alizade, Arif Mirzoev, also Garayev's own son Faraj and many others.

Gara Garayev's broad and multi-aspect creative art includes practically all the genres of the musical art: operas, ballets, symphony, vocal and symphony works, and chamber music.

Gara Garayev's style stands out by its emotional nature, and there is merged in it dramatism and subtle lyrism. In the beginning of the 1950-ies, the poetry of the great Azeri poet, Nizami of Ganja, has made considerable influence on his composing activities. Nizami's poetic images have turned out to be the source of inspiration for the following pieces of work of the composer: the symphony poem "Leila and Mejnun," symphony suite "Seven Beauties," and the summit of the art of the composer: the eponymous ballet.

Garayev's expressive, romantic-emotional style is tightly connected with the principles of Azeri folk music. The influence of folklore is notable even in the latest period of the creative life of the composer, when the wish to use rational techniques has lead him to the experiments within the sphere of dodecaphonic music (in his Third Symphony, Violin Concerto).

Gara Garaev's music did sound and still is heard in many countries of the world; composer's artistic and esthetical principles have widened the expressive boundaries of the Azerbaijani music and have played the greatest role in the formation of the modern Azerbaijani musical school.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## აქვე გთავაზობთ რამდენიმე მნიშვნელოვან გამონათქვამს ყარა ყარაევისა და მისი შემოქმედების შესახებ:

„ყარა ყარაევი განვითარებული, დიდი და ბრწყინვალე ტალანტის პატრონია. მას აქვს უდიდესი ცოდნა ინსტრუმენტობის, პოლიფონიის და სხვა იმ დისციპლინების სფეროში, რომლებიც შეადგენენ მუსიკას. ყარაევს უდავოდ დიდი მომავალი ელოდება"

**დიმიტრი შოსტაკოვიჩი, სსრკ სახალხო არტისტი**

„ყარაევს გააჩნია იშვიათი უნარი იმისა, რომ დარჩეს საკუთარი ხედვისა და პრინციპების ერთგული და არავის არ მიბაძოს. მიუხედავად იმისა, რომ კომპოზიტორი თავადაც იცვლება და დროში ვითარდება, ყველა ჟანრში ინარჩუნებს ინდივიდუალურობას"

**ტიხონ ხრენნიკოვი, სსრკ სახალხო არტისტი**

„უსაზღვროა ყარა ყარაევის ცოდნის თვალსაწიერი მუსიკის ნებისმიერ ჟანრში. 1963 წელს ჩვენ ერთად ვიყავით ამერიკაში. გამაოცა ყარაევის უკიდეგანო ცოდნამ, მუსიკალურმა განათლებამ. ვერ დავფარე აღფრთოვანება, როდესაც ყარაევმა ჯაზშიც კი გამოამჟღავნა თავისი დიდი კომპეტენცია. მან ახსენა რამდენიმე სახელი, შეადარა ჯაზის სხვადასხვა ტენდენციები და ისაუბრა ჯაზის სფეროში ისეთ თემატიკაზე, რომელიც ადრე არასოდეს მსმენია"

**როდიონ შჩედრინი, სსრკ სახალხო არტისტი**

„წლების მანძილზე მქონდა ბედნიერება ყარა ყარაევის პირადი და საიდუმლოებით მოცული იდეები გამეზიარებინა ხოლმე აუდიტორიისათვის. ამიტომაც ვიცი იმ ემოციების შესახებ, რომელსაც გრძნობს აუდიტორია ყარაევის მუსიკის მოსმენისას. ეს არ არის გართობა ან მოდუნება, პირიქით, ის გულის ცეცხლს ანთებს და ადამიანს უბიძგებს მოქმედებისაკენ. ბედის მადლიერი ვარ, რომ მქონდა ხოლმე მის მუსიკასთან შეხების საშუალება და ვიყავი მის ქმნილებათა დიდი ნაწილის პირველი ინტერპრეტატორი"

**ნიაზი, სსრკ სახალხო არტისტი**

„ყარა ყარაევის მუსიკა არის აზერბაიჯანული მუსიკალური საგანძურის ერთ-ერთი ყველაზე დიადი ფურცელი. ასევე უდიდესი როლი მიუძღვის მას მსოფლიოში აზერბაიჯანული მუსიკის პოპულარიზაციაში"

**ფიქრათ ამიროვი, აზერბაიჯანელი კომპოზიტორი**

„ბედმა გამიღიმა, არა მხოლოდ იმიტომ, რომ მქონდა ბედნიერება, შევხვედროდი ასეთი მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებულ პიროვნებას, არამედ უფრო იმიტომ, რომ მის მისწრაფებებს მისივე მუსიკის საშუალებით ვეცნობოდი. მუსიკა ხომ შემოქმედის შინაგან სამყაროში შეღწევის საუკეთესო საშუალებაა. ამ პროცესის დროს ყოველდღიური, მიწიერი ყოფის ტრივიალური და უმნიშვნელო დეტალები ქრება და რჩება მხოლოდ პიროვნების არსი"

**აზერბაიჯანელი მხატვარი თაჰირ სალაჰოვი**

## ქუხილის ბილიკით

შექმნის ისტორია

ყარა ყარაევის ბალეტი „ქუხილის ბილიკით" იური სლონიმსკის ლიბრეტოზე დაიწერა პიტერ ჰენრი აბრაჰამსის ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით და მიეძღვნა სერგეი პროკოფიევს.

ყარა ყარაევის ბალეტი „ქუხილის ბილიკით" გამსჭვალულია თანამედროვეობის მძაფრი შეგრძნებით. ნაწარმოების მუსიკალურ დრამატურგიას გამოარჩევს განვითარების უწყვეტობა. ფერადკანიანების თემაზე დაწერილი ბალეტისთვის ყარაევმა დიდი სამუშაო ჩაატარა აფრიკული მუსიკალური ფოლკლორის შესასწავლად.

ბალეტის პრემიერა განხორციელდა კ. სერგეევის მიერ 1958 წლის 4 იანვარს ლენინგრადის კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში (მარიას თეატრი), მხატვრობა ეკუთვნოდა ვ. დორერს, დირიჟორობდა - ე. გრიკუროვი.

1960 წლის 25 დეკემბერს ბალეტის პრემიერა შედგა კომპოზიტორის სამშობლოშიც - აზერბაიჯანში ახუნდოვის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში. რეჟისურა და მხატვრობა არ შეცვლილა, სპექტაკლს დირიჟორობდა ნიაზი.

მოგვიანებით ბალეტი წარმატებით დაიდგა საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში.

*"Gara Garayev has a great and brilliant talent which is highly developed. He is extremely knowledgeable about instrumentation, polyphony and the other components that make up music. He surely has a great future."*

**Dmitri Shostakovich, a Russian composer**

*"Garayev has that rare ability to stay true to himself and not to imitate anyone. He maintains his own individuality even while changing with the times, regardless of genre."*

**Tikhon Khrennikov, a Russian composer**

*"There was almost no limit to Garayev's scope of knowledge in all genres of music. In 1963, we traveled together to America. It amazed me how Garayev knew so many things about so many different genres of music. For example, I'd have to admit to being a bit elitist when it comes to jazz. But I couldn't hide my admiration when he demonstrated competency in this field as well. He mentioned several names, compared one tendency in jazz to another and talked about things I had never heard of."*

**Rodion Shedrin, a Russian composer**

*"I've been one who has been privileged in being able to reveal the private and mysterious ideas of Gara Garayev to the audience. So I know the excitement the audience feels while listening to Garayev's music. It can't be characterized as either entertainment or relaxation. Rather, it exposes all the fire in one's heart and compels one to act. I'm grateful that I've had the chance to be in touch with his music and to be the first one to interpret most of his works."*

**Niyazi, Azerbaijani conductor**

*"Garayev's music is one of the greatest columns in the museum of Azerbaijani music. His role to make Azerbaijan's music known worldwide is immense."*

**Fikrat Amirov, Azerbaijani composer**

*"I must say that I indeed have been fortunate, not only because I had the chance to meet such a talented musical personality but because I got to know him through his music. This is the only way to get deep inside an artist-through music. Everything trivial and insignificant - the things one pays attention to during mundane, everyday meetings - disappears. Only the essence of a man is left."*

**Tahir Salahov, Azeri painter.**

## THE PATH OF THUNDER

History of creation

Gara Garayev's ballet "The Path of Thunder" was written according to Peter Henry Abrahams' eponymous novel, with Yuri Slonimski's synopsis and was devoted to Sergey Prokofiev.

Gara Garayev's ballet "The Path of Thunder" is penetrated by the keen feeling of modernity. The musical dramaturgy of the piece is distinguished by continuity of development. For the ballet written for the theme of the colored, Garayev made a good deal of work studying African musical folklore.

The ballet premiered on 4th January 1958 in Leningrad Kirov State Theatre of Opera and Ballet (Mari Theatre) under the leadership of K. Sergeyev. Decorator was V. Dorrer, and conductor, E. Grikurov.

On 25th December 1960 the premiere was held also in composer's homeland, in Azerbaijan in Akhundov State Theatre of Opera and Ballet. Director and decorator were the same, and conductor was Niyazi.

Later the ballet was staged with success in other cities of the Soviet Union as well as in foreign countries.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვახტანგ მაჭავარიანი

ვახტანგ მაჭავარიანი, უკვე დიპლომირებული პიანისტი სადირიჟორო ხელოვნებას თბილისის კონსერვატორიაში ო. დიმიტრიადის, მოსკოვის კონსერვატორიაში კი გ. როჟდესტვენსკის ხელმძღვანელობით დაეუფლა. დაამთავრა ვენის სამუსიკო აკადემია კ. ოსტერრაიჰერის ხელმძღვანელობით. იმავე პერიოდში გაიარა სტაჟირება თანამედროვეობის ერთ-ერთ უდიდეს დირიჟორთან, ვენის ოპერის სამხატვრო ხელმძღვანელთან, ლორინ მააზელთან. ეს უკანასკნელი თავის სარეკომენდაციო წერილში წერდა: „მას შემდეგ, რაც ვახტანგ მაჭავარიანმა უდირიჟორა ვენის ფილარმონიის ორკესტრს, შემიძლია განვაცხადო, რომ მას გააჩნია სადირიჟორო ნიჭი და იმსახურებს დიდ მხარდაჭერას".

ვენაში სწავლის დასრულების შემდეგ ვახტანგ მაჭავარიანი მიიწვიეს სანკტ-პეტერბურგის მარიას თეატრის დირიჟორად.

ვახტანგ მაჭავარიანი დირიჟორობდა სხვადასხვა სპექტაკლებს და ლონისძიებებს რუსეთის, ლატვიის, გერმანიის, საფრანგეთის, შვეიცარიის, დიდი ბრიტანეთის საოპერო თეატრებში.

1990 წელს მან დააარსა და რუსეთის წამყვანი ორკესტრების მუსიკოსებით დააკომპლექტა საბჭოთა საფესტივალო ორკესტრი (მოგვიანებით მოსკოვის საფესტივალო ორკესტრი), რომლის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორიც იყო 2000 წლამდე.

1996 წლიდან (2004 წლის ჩათვლით) ვახტანგ მაჭავარიანი გახდა საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი. ორკესტრთან ერთად მან გამართა კონცერტი ჰოლანდიაში - ამსტერდამის „კონცერტგებაუში" და გერმანიაში.

მისი ინიციატივით თბილისში მსმენელის წინაშე წარსდგა ბონის ფილარმონიის გუნდი, ცნობილი მევიოლინე ივრი გიტლისი, თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი დირიჟორი კენტ ნაგანო. მოგვიანებით ნაგანომ ასეთი წერილი მისწერა ვახტანგ მაჭავარიანს: „ძვირფასო, ვახტანგ, თქვენმა ორკესტრმა ბრწყინვალად შეასრულა მალერის №7 სიმფონია. ეს იყო სიყვარულით, აღმაფრენით და თავდადებით სავსე შესრულება, რაც იშვიათი მოვლენაა. ცხადია, რომ ეს არის თქვენი ხელმძღვანელობის და თქვენი ღრმა მუსიკალური ზეგავლენის ანარეკლი. თქვენ შესძელით განსაკუთრებული მუსიკალური ტრადიციის შექმნა საქართველოში".

2000 წელს ვახტანგ მაჭავარიანი რუსეთის დიდი სიმფონიური ორკესტრის - "მილენიუმის" სამხატვრო ხელმძღვანელი გახდა.

ვახტანგ მაჭავარიანი თანამშრომლობს 80-ზე მეტ ორკესტრთან, მათ შორის: ლონდონის სამეფო ფილარმონიის, მანჩესტერის, შტუტგარტის სახელმწიფო, ბელგიის ნაციონალური, გერმანიის წამყვანი ორკესტრები, საფრანგეთის ნაციონალური ორკესტრი, სანკტ-პეტერბურგისა და მოსკოვის ფილარმონიული ორკესტრები და სხვ.

ვახტანგ მაჭავარიანს კონცერტები გამართული აქვს გაერთიანებულ სამეფოში, საფრანგეთში, ბელგიაში, ავსტრიაში იტალიაში, შვეიცარიაში, ესპანეთში, ჰოლანდიაში, ისრაელში, დანიაში, თურქეთში, რუსეთში, უკრაინაში, სომხეთში, კორეაში, სინგაპურში, ტაივანში და სხვ.

ვახტანგ მაჭავარიანის დირიჟორობით განხორციელდა ალექსი მაჭავარიანის შემდეგი ნაწარმოებების პრემიერები: „ვეფხისტყაოსანი", სიმფონიები №3, 4, 5, 6, 7, სიმფონიური სუიტა „ჰამლეტი", ოპერა „ჰამლეტის" პირველი მოქმედების შესრულება ნაწყვეტების სახით, ბალეტი „ჭირვეულის მორჯულება", ოპერა "მედეას" საკონცერტო შესრულება, კონცერტი ჩელოსა და ორკესტრისთვის, სხვადასხვა კამერული ნაწარმოებები.

ფირმა "მელოდიასთან" თანამშრომლობით ჩაწერილია ალექსი მაჭავარიანის რიგი თხზულებები.

ვახტანგ მაჭავარიანის სახელს უკავშირდება თბილისში მრავალი ნაწარმოების საპრემიერო დადგმა და შესრულება, მათ შორის, ვერდის „ფალსტაფი", ვაგნერის „ტრისტანი და იზოლდა"; ბარტოკის „ლურჯწვერა ჰერცოგის სასახლე", რიჰარდ შტრაუსის „ასე ამბობდა ზარატუსტრა", „სიკვდილი და გასხივოსნება", „ოთხი უკანასკნელი სიმღერა", მალერის სიმფონიები №5 და №7 და ციკლი ვ. რიუკერტის სიტყვებზე, ბრამსის „გერმანული რეკვიემი", ბრიტენის „ფედრა", უოლტონის სიმფონია №2, ნეინის სიმფონიები №3 და №4, იოჰან შტრაუსის მთელი რიგი ნაწარმოებები და სხვა.

სულ ახლახან, გამოიცა სამი კომპაქტ-დისკი, რომლებზეც ვახტანგ მაჭავარიანის დირიჟორობით სხვადასხვა ორკესტრების შესრულებით ჟღერს ბეთჰოვენის, ბერლიოზის, მალერის, რაველის, რახმანინოვის, სტრავინსკის, ალექსი მაჭავარიანის ნაწარმოებები.

# VAKHTANG MATCHAVARIANI



Vakhtang Matchavariani, an already diploma-certified pianist, has mastered the conductor's art in Tbilisi Conservatoire under the leadership of O. Dimitriadi, and in Moscow Conservatoire, under the leadership of G. Rozhdenstvenki. He graduated from Vienna Musical Academy under the guidance of Osterreiher. In the same period he has passed practices with one of the greatest conductor of the modern times, the artistic leader of Vienna Opera, Lorin Maazel. The latter then wrote in his letter of recommendation: "After Vakhtang Matchavariani has conducted Vienna Philharmonic Orchestra, I can declare that he has the conductor's talent and is worth of good support."

Upon his graduation from the studies in Vienna Vakhtan Matchavariani was invited as conductor of Mari Theatre in St. Petersburg.

Vakhtang Matchavariani conducted various spectacles and events in opera theatres of Russia, Latvia, Germany, France, Switzerland, and the Great Britain.

In 1990 he founded and manned by musicians of leading orchestras of Russia the Soviet Festival Orchestra (later, Moscow Festival Orchestra), and remained its artistic leader and chief conductor until 2000.

Since 1996 Vakhtang Matchavariani has become the artistic leader of the State Philharmonic Orchestra of Georgia and its chief conductor. With the orchestra, he held concerts in Holland, In Amsterdam, Concertgebouw, and in Germany.

In his initiative, Tbilisi audience has seen Bonn Philharmonic group, the famous violinist Ivri Gitlis, and one of the greatest conductors of modernity, Kent Nagano. Later Nagano has written such a letter to Vakhtan Matchavariani: "My dear Vakhtang, your orchestra has performed Mahler's 7$^{th}$ Symphony brilliantly. This was the performance full of love, inspiration and self-devotion, which is a rare phenomenon. It is obvious that this fact reflects of your leadership and your deep musical influence. You have succeeded to create a special musical tradition in Georgia."

In 2000 Vakhtang Matchavariani has also become the artistic leader of Bolshoi Symphony Orchestra of Russia, named Millennium. Vakhtang Matchavariani collaborates with more than 80 orchestras, amongst them: London Royal Philharmonic, Manchester, Stuttgart State, Belgium National orchestras, leading orchestras of Germany, National Orchestra of France, St. Petersburg and Moscow Philharmonic Orchestras, etc.

Vakhtang Matchavariani has made concerts in the UK, France, Belgium, Austria, Italy, Switzerland, Spain, Holland, Israel, Denmark, Turkey, Russia, Ukraine, Armenia, Korea, Singapore, Taiwan, etc.

With Vakhtang Matchavariani as conductor, there were realized the premieres of Alexi Matchavariani's following works: "Vepkhistkaosani,' symphonies ## 3, 4, 5, 6, 7, symphonic suite "Hamlet," performance of the first act of the opera "Hamlet" in the form of intervals, ballet "Taming of the Shrewd," concert performance of the opera "Medea," concerto for cello and orchestra, and various chamber pieces.

Some of Alexi Matchavarianis pieces of work were recorded as a result of his collaboration with the firm "Melodia".

With his name there are connected premieres and performances of many pieces of work in Tbilisi, amongst them, Verdi's Falstaff, Wagner's Tristan and Isolde, Bartók's "Bluebeard's castle," Richard Strauss' "Also sprach Zarathustra," "Death and illumination," "Four last songs," Mahler's symphonies #5 and #7 and a cycle on V. Ruckert's words, Brahms' German Requiem, Britten's "Phaedra," Walton's symphony #2, Nein's symphonies #3 and #4, Johann Strauss' several works, etc.

Recently there have been published three compact disks, on which, with Vakhtang Matchavariani conducting, there is recorded the pieces of Beethoven, Berlios, Mahler, Ravel, Rachmaninoff, Stravinsky, and Alexi Matchavariani.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სიმფონიური ორკესტრი

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის შენობა აშენდა 1851 წელს, როგორც საიმპერატორო თეატრი, თუმცა, მისი დასის შემოქმედებითი ცხოვრება რამდენიმე წლით ადრე დაიწყო. პირველ პროფესიულ სიმფონიურ ორკესტრს სათავეში ჩაუდგა იმ პერიოდისთვის მსოფლიოში აღიარებული იტალიელი მევიოლინე და დირიჟორი ანტონიო ბარბიერი, რომელმაც ორკესტრი იტალიელი შემსრულებლებისგან დააკომპლექტა და იმავე სეზონში 12 ევროპული ოპერა დადგა; ბარბიერის შთამომავლები დღესაც მოღვაწეობენ თეატრში.

1860 წლიდან თეატრის ორკესტრი დამოუკიდებელ საკონცერტო ცხოვრებასაც იწყებს და მართავს სიმფონიური მუსიკის კონცერტებს ცნობილი დირიჟორების შენინგის და კატანის დირიჟორობით.

ორკესტრთან ერთად სცენაზე წარსდგნენ უდიდესი შემსრულებლები, მათ შორის ჯუზეპე ვერდის მეუღლე ჯუზეპინა სტრეპონი, ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი ბანი ფიოდორ შალიაპინი, ბრწყინვალე პიანისტი, თბილისის კონსერვატორიის დამაარსებელი არტურ რუბინშტეინი, რუსი კომპოზიტორი და ვირტუოზი პიანისტი სერგეი რახმანინოვი, გენიალური რუსი კომპოზიტორი პეტრე ჩაიკოვსკი. ორკესტრით და თეატრის დასით აღფრთოვანებული პეტრე ჩაიკოვსკი ხუთჯერ ეწვია საქართველოს (1886-1890). ანტონინ დვორჟაკის მეცხრე სიმფონია, მისი კარნეგი ჰოლში მსოფლიო პრემიერის შემდეგ პირველად სწორედ თბილისში შესრულდა.

ორკესტრი სპექტაკლებში მონაწილეობდა გასტროლებზე ჩამოსულ დასებთან ერთად: პეტერბურგის საბალეტო დასი (1852), იტალიური საოპერო დასები (1897-1898, 1910), ვენის საიმპერატორო ოპერეტა (1903), მოსკოვისა და პეტრბურგის კომიკური ოპერები (1907), პეტერბურგის საიმპერატორო ბალეტი (1907, 1908, 1913).

XX საუკუნეში ორკესტრს სხვადასხვა დროს დირიჟორობდნენ გამოჩენილი ქართველი მუსიკოსები - ევგენი მიქელაძე, ოდისეი დიმიტრიადი, გივი აზმაიფარაშვილი, ჯანსუღ კახიძე.

თანამედროვე დროში, ბოლო 7 წლის მანძილზე ორკესტრთან ერთად წარსდგნენ მსოფლიოში აღიარებული შემსრულებლები – პლასიდო დომინგო, ფერუჩო ფურლანეტო, ხოსე კარერასი, მიშელ კრაიდერი, დოლორა ზაჯიკი, მონსერატ კაბალიე, დიმიტრი ხვოროსტოვსკი, ანდრეა ბოჩელი, პაატა ბურჭულაძე, ბადრი მაისურაძე, ლადო ათანელი, იანო თამარ ალიბეგაშვილი, თამარ ივერი, ეთერ ლამორისი, ნინო სურგულაძე, ნინო მაჩაიძე, ანიტა რაჭველიშვილი, ალექსანდრე კოსრანტია, ლექსო თორაძე, ეთერ ანჯაფარიძე, ორკესტრს წარუძღვნენ ცნობილი დირიჟორები – შუია ოკაცუ, დან ეტინგერი, არვო ვოლმერი, მანლიო ბენცი, ხოსე კოლადო, იუჯინ კონი, საშა გიოცელი, დიმიტრი იუროვსკი, ფარხადინ კერიმოვი და სხვ.

ორკესტრს გამართული აქვს წარმატებული გასტროლები უნგრეთში, გერმანიაში, საფრანგეთში, ისრაელში, მალტაში, ესპანეთში, ლიბანში. უდიდესი წარმატება ხვდა ორკესტრს და მთლიანად დასს შვედეთის პრესტიჟულ საოპერო მუსიკის ფესტივალზე.

თეატრის სიმფონიური ორკესტრის მუსიკოსების მაღალი შემოქმედებით-პროფესიული დონის გათვალისწინებით ამ ორკესტრის ბაზაზე 2005 წელს შეიქმნა კამერული ორკესტრი, რომელიც რეგულარულად მართავს კონცერტებს საქართველოში და საზღვარგარეთაც.

ამ მცირე ექსკურსის ფარგლებში, ცხადია, შეუძლებელია დიდი ტრადიციების მქონე ორკესტრის ბიოგრაფიის სრულყოფილი გადმოცემა, მაგრამ ვფიქრობთ, ორკესტრის შემოქმედების გაცნობით, მის მიერ შესრულებული მუსიკით ის მუხტი წამოვა, რომელიც დიდი ისტორიული მესხსიერების და მდიდარი ბიოგრაფიის შესაბამისია.



## THE SYMPHONY ORCHESRA OF TBILISI STATE OPERA AND BALLET THEATRE

The building of Tbilisi State Opera and Ballet Theatre was built in 1851 as an Empire Theatre, though the creative life of its group had begun several years earlier. The first professional symphony orchestra was guided by Antonio Barbieri, in those times, the globally recognized Italian violinist and conductor, who has staffed the orchestra with Italian performers and staged 12 European operas in the same season; Barbieri's progeny work for the theatre up till the present day.

Since 1860 the orchestra of the theatre begins its independent life and organizes concerts of symphony music with famous conductors as Shening and Catani.

Together with the orchestra greatest performers have seen the Tbilisian scene, amongst these, Giuseppe Verdi's spouse, Giuseppina Streponi, as well as Fyodor Chaliapin, one of the greatest basses of all times, Arthur Rubinstein, the brilliant pianist and founder to Tbilisi Conservatoire, Sergei Rachmaninoff, Russian composer and virtuoso pianist, and Pyotr Ilyich Tchaikovsky, the genial Russian composer. Pyotr Tchaikovsky, ravished by the orchestra and group of the theatre, has visited Georgia five times (in 1886-1890). Antonin Dvorzhak's ninth symphony, so widely recognized in America, which gained the global fame after its performance in Carnegie Hall, was performed for the first time exactly here in Tbilisi.

The orchestra took part in spectacles abreast with other groups touring in Tbilisi, such as: St. Petersburg Ballet Group (1852), Italian opera groups (1897-1898, 1910), Vienna Empire Operetta (1903), Moscow and St. Petersburg Comic Operas (1907), St. Petersburg Empire Ballet (1907, 1908, 1913).

In the XX century the orchestra was conducted by famous Georgian musicians: Eugene Mikeladze, Odissey Dimitriadi, Givi Azmaiparashvili, Jansug Kakhidze.

In modern times, during last 7 years, the globally famous performers have appeared on stage together with the Orchestra, namely: Plácido Domingo, Ferruccio Furlanetto, José Carreras, Michèle Crider, Dolora Zajik, Montserrat Caballé, Dimitri Khvorostovski, Andrea Bocelli, Paata Burchuladze, Badri Maisuradze, Lado Ataneli, Iano Tamar Alibegashvili, Tamar Iveri, Eteri Lamoris, Nino Surguladze, Eteri Anjaparidze. The Orchestra had been led by famous conductors: Shuia Okatsu, Dan Ettinger, Arvo Volmer, Manlio Benz, Jose Collado, Eugene Con, Sasha Goetzel, Dmitri Yurovski, Fahraddin Kerimov, etc.

The Orchestra has made successful tours to Hungary, Germany, France, Israel, Malta, Spain, Lebanon. The Orchestra along with the whole group have gained exceptional success at a prestigious festival of opera music in Sweden.

Taking into account the high creative and professional level of the musicians of Symphony Orchestra of the Theatre, there was formed the chamber orchestra in 2005 on the basis of the above-mentioned orchestra, which regularly holds concerts both in Georgia and abroad.

Within the limits of this small excursion, it is evident, that it's impossible to narrate the entire biography of the Orchestra of such great traditions. Yet we believe that knowing the history of the Orchestra, music performed by them will carry the charge corresponding fairly well to its historic memory and biography rich with events.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის
განვითარებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

TBILISI STATE OPERA AND BALLET THEATRE
DEVELOPMENT AND PUBLIC RELATIONS DEPARTMENT

Tel.: (+955 32) 214 32 03
www.opera.ge



ეროვნული ბიბლიოთეკა

PX 4478/1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

n 19/1667

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი

Tbilisi State
**Opera&Ballet**
Theatre